

ლეჩხუმი

გაზეთი გაზეთის
1933 წლის
10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და
ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии
и Цагерского районного Совета народных депутатов

№102 (6328) 25 აგვისტო 1990 წელი შაბათი ფასი 5 მგ.

საქვეყნის დამხალაბა — უაიკველასი საზრუნავი

სადღეს ბოლია, რომ მეცხოველეობის ნორმალური გამოხატობა
ბის თავი და თავი საკვები ბაზაა, დღეს, საიქამოა სიღარიბე
გლუხურ მეურნეობაზე გადასვლის რთულ პერიოდში, ამ საკითხის
მოგვარებას განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება, რომ ზამთარ-
შიც შეიქმნას ის პროდუქტები, რომლის დეფიციტსაც ასე ძლიერ
განიცდის ქვეყანა.

საკვების დამზადების ამ გადაწყვეტ პერიოდში ჩსუტელებმა
ლუხვანოს სათიბებში აახშიანეს მამა-პაპური ცელები, ცდილობენ
არ დატოვონ დაუთობავი არც ერთი მტკაველი სათიბი. შრომაშუ-
დაწინაურდნენ ბიკენტი სილაგაძე, გიგა, გურამ მეშველიანი,
მამუკა ქარსელაძე, ბადრი სილაგაძე და სხვები.

ყოველი მზიანი დღის გამოყენება, საჭირო რაოდენობის საკვებ-
ის დამზადება — ასეთია ჩსუტელთა მოთხოვნა დღევანდელი.

პაპი სივლიძის წყაროა

უღიბან, ჩვენი მამა-პაპი-
მოგვდგამს ვაზის სიყვარულ-
ლი, ვაზი იყო, არის და იქნება
ჩვენი ეკონომიკური ძლიერების
წყარო, მაგრამ ამ რამდენიმე
წლის წინ ლოთობისა და ალკო-
პოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის
ნაჩარევად მიღებულმა კანონმა
ბევრ მევენახეს აუტრუა გული,
ხელი ააღებინა ამ ეროვნული
და ძირძველი მცენარის მოვლა-
პატრონობაზე, მაგრამ ჩემთვის
და ჩემი მსგავსი ადამიანებისთვის
ამით ნამდვილად არა-
ფერი შეცვლილა. წლების მანძი-
ლზე (15-20 წელი, საკოლმეურ-
ნეო ფართობიდან ვაჭარობდები
და სახელმწიფოს ვაბარებდი სა-
შუალოდ 3 ტონამდე ყურძენს,
საკარმიდამოდან კი 1,5-2 ტონა-
ზე ნაკლები არასდროს ჩამიბარ-
ებია. ანაზღაურება 40-50 კაპიკს
კით არ მიდიოდა, ახლა ცოლ-
სურის ჯიშის ყურძენზე 21
გრადუს საბაზისო შაქრიანობაზე
კილოგრამის ფასი ჩვენს რაიონ-
ში 1 მანეთი და 50 კაპიკია.


საკოლმეურნეო შრომის დიდი
ხნის გამოცდილება მაქვს, რამდ-
ენიმე ათეული წელი ბრიგადი-
რად ვმუშაობდი და კარგად ვი-
ცოცხებდები ჩვენი მიწების შემა-
დგენლობა, ვაზის ზრდა-განვითარ-
ებისათვის საჭირო კლიმატური
პირობები, ამჟამად 0,15 ჰექტარ
ვენახს ვუვლი საიჯარო წესით.
იგი 1939 წელს გაშენებული
კოლქაურის ჯიშის ვაზია, 1947
წელს კი ისე დაზიანა ძლიერმა
ყინვამ, რომ მისი გადაჭრა და
გაახლება მოგვიხდა, ახლა იმ-
დენად ხანდაზმულია, რომ ყვავ-
ილობამდე ნორმალურად ვითარ-
დება, შემდეგ კი რჩება წვრილ
მარტლოვანი. ამიტომ ზვარს გა-
ახლება აუცილებლად ესაჭიროე-
ბა, ხოლო ჩემს განკარგულებაში
მყოფ საკარმიდამოში საკუთარი
ზვარი სრულიად გადავახლებ და
მომავალი წლიდან მოსავალს
ველოდები.

ყურძნის ფასების გაზრდამ,
მართლაც, რომ იტყვიან, სულზე
მრუხსწრო განადგურების პირას
მისულ ზვრებს. მე იგი ჩვენთან
მევენახეობის შემდგომი აღმა-
ვლილის საიმედო გზად მესახება.

3. მეშველიანი,
ჩსუტელის კოლმეურნეობის მე-
ვენახე.

მეშველიანის პარტიული და ქვეყნის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

უთუოდ ხასიყეთო საქმის
მსახურია მახაშვილი სევარიონ
ამბროსის ძე სილაგაძე, რომელ-
ზეც ბევრი რამ გვსმენია და და-
გვიწერია კიდევ ჩვენს გაზეთში,
მაგრამ სულ სხვა საკუთარი
თვლით ხილვა და დარწმუნება
იმ ქვეყნობაში, რომ ეს ქა-
რმაგი კაცი მართლაც ხასიყეთო
საქმის ქომაგია.



სილაგაძის სევარიონი

ზაფხულის პაპანაქება სიცხე
იყო იმ დღეს, როცა ლახურია-
შის კოლმეურნეობის კანტორაში
თავმჯდომარემ როსტომ მუშუ-
დიანმა მახაშვის აგროუბნის ბრი-
გადირს სევარიონ სილაგაძეს
ჩვენი მეგზურობა შესთავაზა.
მართლაც კარგი მეგზური და
მასპინძელი გამოდგა ბატონი სე-
ვარიონი. ფეხდაფეხ დაგვატარა
მახაშვის სასიმიინდე ყანები, შეგ-
ვახვედრა ადამიანებს, ზოგი
ფოტოობიექტივზე აღგვაბეჭ-
დინა, ზოგიერთ მათგანთან სახ-
ლში შეგვიძღვა და შინაურებით
დაგვათავლიერებინა მოწინავე
მეგზრეშემთა თუ მესიმიინდეთა
ნაშრომ-ნაამაგარი. ამის შემდეგ
კი შინ შეგვიპატიუა და მოულო-

დნელობამ სულ სხვა ამბულაში
გვანახა იგი. საჭიროებამ მოი-
თხოვა და ამჯერად ბრიგადირი
მეფუტკრის ფორმით დატრიალ-
და ამ კეთილშობილი, ღვთაე-
რივი ნექტარის მქონე ფროსნე-
ბის სახლებს შუა. ზოგს თავი
მოხადა, თაფლის სავსე ჩარჩო-
ბი, ქარვისფერი სანთლით ნაგები
ფიქისა და თაფლის ფუტკრებით
დაზვიანულ ნაზავს ისე გახედა,
ვითომც აქ არაფერი. ეს კეთილი
ფროსნეები გონიერად უგებდნენ
მათ მესაიღებლს და დასანესტ-
რად ვერც იმეტებდნენ მის ტიტ-
ველ და შეუნიღბავ ხელებს.
სულ 70 ოჯახი მუკავს საკუთარ
მეურნეობაში, მაგრამ მე მაინც
ის მსიამოვნებდა, როცა წლების
წინათ ლახურიაშის კოლმეურ-
ნეობაში 200-მდე ფუტკრის ოჯახს
ვუვლიდი და კოლმეურნეობის
ხაზინას ჩემი შრომით ტონობით
თაფლის საფასური ემატებოდაო,
—დანანებით გვითხრა გამოცდი-
ლმა მეფუტკრემ. იგონებს იმ
წლებს, როცა ავადმყოფობამ
ერთბაშად იმსხვერპლა ფუტკარი,
მაგრამ იმედს არ კარგავს, ბრი-
გადირობა დროებით ჩავიბარე,
ისევ ჩემს საქმეს უნდა დავუბ-
რუნდე, ის 20 ათასი მანეთი.
რაც კოლმეურნეობის ანგარიშ-
ზე დევს (ფუტკრის განადგურე-
ბის შედეგად აღებული საღა-
ღვეო თანხა), დარგის განახლებას,
ფუტკრის ახალი ოჯახების
შექმნას უნდა მოხმარდესო. ისე
კი ბრიგადირობაზე არანაკლებად
ახლა დროს თავის პროფესიულ
საქმეს ახმარს. ამაში მარტო მი-
სმა ნაამბობმა კი არა, ჩვენი
თვლით და ყურით დანახულ-
მოსმენილმა დაგვარწმუნა. სო-
ფელში ჩვენთან ერთად გავლი-
სას ხვედებოდნენ, ეპანდნენ, სოხო-
ვდნენ, ჩემთან გამოიარე, იქნებ



სილაგაძის სევარიონი

დროს ახალბედები არიან, საკუ-
თარ მეურნეობაში მეფუტკრეო-
ბას მიჰყვები ხელი და ჯერ კიდევ
თავს არ ენდობიან, ჩემს დახმარ-
ებას ითხოვენო.

რესპუბლიკაში არსებული მე-
ფუტკრეობის ერთადერთი სპე-
ციალური სკოლა აქვს დამთავრე-
ბული ბატონ სევარიონს ახალგა-
ზრდობის წლებში. მას შემდეგ
მთელი მისი სიცოცხლე ამ სასი-
კეთო საქმეს ემსახურება.

გასულ წელს მოყვარული მე-
ფუტკრის, პროფესორ არჩილ
ლოლაშვილს ავტორობით გამოიცა
წიგნი—საქართველოს მოყვარულ
მეფუტკრეთა მატჩანე.
წიგნში ჩვენი რაიონი-
დან შეტანილია სევარიონ
ამბროსის ძე სილაგაძე ფოტოპო-
რტრეტით, სადაც ვკითხულობთ
„სევარიონ სილაგაძე ცაგერის
რაიონის ერთ-ერთი მოწინავე მე-
ფუტკრეა, ეწევა საფუტკრის მო-
მთაბარეობას და საშუალოდ ფუ-
ტკრის თითოეულ ოჯახზე 20
კილოგრამ თაფლს დებულობს,
აგრეთვე ყვავილის მტვერს,
ცივლას და დინდგელს. საფუტკ-
რეში მოწეობილი აქვს თვითნა-
კეთი ორიგინალური წყალსასმე-
ლები უმარილო და მარილიანი
წყლისათვის, რაც ნამდვილად სა-
ყურადღებო და საჩვენებელია.“

მატიანე მოგვიტოვებს, რომ
ქართველმა გლეხმა ტყეში ფუტ-
კარი ხის ფულუროდან გადმოსხა
კოდებში, განაღობა თავის ეზოში
და დაეფულა შინაურ მეფუტკ-
რეობას.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ
კეთილი საქმის ქომაგსა და აქ-
ტივისტს.

ჯ. მანდარია,
სურათში: ს. სილაგაძე სა-
ფუტკრეში.

მათი კასუსისმგებლობა ეტყობა

რაიონში ახლა ერთ-ერთი
საშურო საქმე კურკოვანი ხილის
დამზადებაა. იკრიფება ხილი და
ბარდება სასურსათო კომბინატსა
თუ რაიონს ვარეთ არსებულ სა-
კონსერვო ქარხნებს. სეზონის
დასაწყისში საწვავის დეფიციტმა
შეაფერხა ხილის დამზადება და
ამ საქმეში დღეს არცთუ სახა-
რბიელოდაა საქმე.

მიმდინარე სეზონში სოფელ
უსახელოს მშრომელებმა ქვეყნის
ბარაქას 136 ტონა კურკოვანი
ხილი უნდა შემატონ. დამამზად-
ებელმა ჯოტო თოთაძემ თავის
დროზე წესრიგში მოიყვანა ხი-
ლის მიმღები პუნქტი, შემოტან-
ილი იქნა საჭირო რაოდენობის
ტარა. ფასების გაზრდით კმაყო-
ფილი მშრომელები დიდი რაოდ-
ენობით ყიდიან საკარმიდამოში
მოკრეფილ ტყეშებს. ჭიჭიკო
გორგასლიძემ 800 კილოგრამი
კურკოვანი ხილი მიყიდა ქვეყა-
ნას, ხოლო გივი გოლითიანმა 600

კილოგრამი, კაკო ყურაშვილმა 650
კილოგრამი, ვახტანგ ძნელაძემ
550 კილოგრამი, მერი ყურაშვი-
ლმა 500 კილოგრამი ხილი მიყიდა.
ტარა აქვთ, საწვავით უზრუნ-
ველყოფილი არიან, ტრანსპორტიც
გამართულად მუშაობს, რეზერვ-
ები უხვად არის. ტყეშალი მოი-
ღვეა, ქლიავის მიღებას დაიწყე-
ბენ. დღეისათვის დამზადებულია
50 ტონა კურკოვანი ხილი.

ქების ღირსია აგრომრეწვტრა-
ნის მძღოლი რეზო კოპალიანი,
რომელიც დაუზარელად ემსახ-
ურება მშრომელებს.

დღეს, ჩვენი რესპუბლიკის
ეკონომიკური და პოლიტიკური
სიტუაციის ამ მწვევებ შამს,
ყველამ ერთგულად უნდა ვიშ-
რომოთ, არ დავკარგოთ არცერ-
თი კილოგრამი ხილი და მოვახ-
ვედროთ იგი რაიონის შემოსავა-
ლში.

ბ. ბაქრაძე.


მასწავლებელთა საყურადღებო!

1990 წლის 29 აგვისტოს დღის 12 საათზე სარაიონო
კულტურის სახლში ტარდება მასწავლებელთა რაიონუ-
ლი კონფერენცია დღის წესრიგით: „გასული 1989-1990
სასწავლო წლის შედეგები და თანამედროვე მოთხოვ-
ნებიდან გამომდინარე სკოლებში სასწავლო აღმზრდე-
ლობითი საქმიანობის სრულყოფის ამოცანები“.

30 აგვისტოს დღის 11 საათიდან ცაგერის საშუალო
სკოლაში დაიწყება საგნობრივი სექციების მუშაობა.
სახალხო განათლების მუშაკთა დასწრება სავალდე-
ბულოა.

ცაგერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება.

მოდის ახალი სასწავლო წელი



ახლოვდება ახალი 1990-1991 სასწავლო წელი, როდესაც დასვენებული, ხალისიანი ვაკეობები მიუხედავად მერხებსა და დაწვება ცოდნის საფუძვლების დაუფლებისათვის რთული, მაგრამ საინტერესო გზა.

ახალი სასწავლო წლისათვის დროული! და ყოველმხრივი მომზადება მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისა, რომ პედაგოგ-აღმზრდებლებს შეეძინათ საჭირო პირობები სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვისათვის, ხოლო მოსწავლე-ახალგაზრდობას კი კარგი სწავლისა. ეს კომპლექსური კარგად გვაქვს შეგნებული ბარდნის საშუალო სკოლის ხელმძღვანელებს და

სპორტული მოედნები, შევიძინეთ 300 მანეთის სპორტული ინვენტარი.

კაბინეტ-ლაბორატორიები შევავსეთ და ძირითადად მოვამზადეთ სწავლების ტექნიკური საშუალებებით და თვალსაჩინო მასალებით, მათემატიკის ბიოლოგია-ქიმიის კაბინეტებში და პირველი კლასის სასწავლო ოთახში დავამონტაჟეთ საშუალო დაფები.

გახანგრძლივებული დღის ორ ჯგუფში ჩაირიცხება 55 აღზარდული, ექვსკლასიანებისათვის მოვამზადებთ საძინებელი ოთახები, გახანგრძლივებული ჯგუფების და საერთოდ სკოლის მოსწავლეებს მოემსახურებათ კეთილმოწყობილი ბუფეტი და სასადილო.

სკოლა დაკომპლექტებულია საჭირო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პედაგოგიური კადრებით. 7-მა მასწავლებელმა წელს გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი რესპუბლიკური კურსები.

შეგარემონტეთ და წესრიგში მოვიყვანეთ ცენტრალური გათბობის სისტემა. გვაქვს 40 ტონაზე მეტი ქვანახშირი, ამ დღეებში შემოვჭიდეთ 50-60 ტონას. ამასთან შემთხვევით, რომ შეფერხდეს გათბობის სისტემა, მოვიმარაგეთ საქმით თუნუქის ღუმელები, შემოვიღეთ გვაქვს 30 კუბური მეტრი შეშა.

შემოვიტანეთ 16 დასახელების ახალი სახელმძღვანელო. იმის გამო, რომ ფერხდება ახალი სახელმძღვანელოებით ყველა მოსწავლის უზრუნველყოფა, მოსწავლეებმა ბიბლიოთეკარ % მდინის ხელმძღვანელობით შეაკეთეს ნახშირი სახელმძღვანელოები, ვცდილობთ, რომ ყველა მოსწავლეს მქონდეს ახალი ან ნახშირი სახელმძღვანელო ყველა საგანში.

სკოლის ეზოს შემოსაკავებლად შევიძინეთ 250 გრძივი მეტრი მავთულბად და საყრდენი მასალა. შემოკვების საშუალებები მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში დამთავრდება.

ტრადიციულად 20 აგვისტოს ყველა მასწავლებელი გამოცხადდა სკოლაში, მათ მიეცით ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, შესაძლებლობა ექნებათ 17 სექტემბრამდე სწავლის დაწყების დღემდე საფუძვლიანად დაამუშაონ ისინი და კარგად მოემზადონ პირველი გაკვეთილებისათვის.

ახალი მოთხოვნების შესაბამისად შევადგინეთ სკოლის წლიურ და პედაგოგიურ საბჭოს სამუშაო გეგმებს, დავაკომპლექტებთ კლასებს, დავამტკიცებთ კლასის ხელმძღვანელებს, მათ საქმით დრო ექნებათ მოფიქრებულად შეადგინონ სააღმზრდელი გეგმები.

მ. ხეცურიანი.

ბარდნის საშუალო სკოლის დირექტორი.

...ახლანდელ საქართველოში, ილია მეორის წყალობით, თუ ვინმეს ცოდვის მონაწილის უნარი მაინც გააჩნია, ლამისაა საბატონოს კარები გაუღონ, რადგან თურმე უზუნაქმა (ხაბკომ კი არა ღმერთმა) ყოველგვარი დანაშაულის ჩადენის მიზეზად ეშმაკისაგან ცდუნება მიიჩნია, ამიტომ ხვალაც რომ ე. წ. განხილვის წიგნსა და არამოაზროვნე კრიტიკოსზე დანახსენებით აღსაზრდელბს ბოლომდე უარყოფით პიროვნებად მოვახვიოთ თავს, თუნდაც საფარ-ბეგი, დიდ შეცდომად მიმაჩნია.

კაცად ქცევას, სხვანაირად პიროვნების განკაცებას ემსახურება ამა თუ იმ შემოქმედის ნამოღვაწარი, მაღალი იდეალისა და ზნეკეთილობისაგან ლტოლვისაა ქართველ მწერალთა და, მით უფრო, მე-19 საუკუნის 60-იანელთა შექმნილი, მხატვრული ღირსებებით სავსე ნაწარმოებები, თუმცა გურამიშვილისა, სულხან-საბასა და ბატონიშვილების წყალობით კუთხისწავლება და ერთგულად დანარიგები არც მანამდე გვკლებია ქართველებს.

კაცად ქვეყნის პრობლემა

აღზრდის საკითხი და აღზრდისას დაშვებული შეცდომები, როგორც ნაცნობი თემა, გასაგებია, მაგრამ მაინც უცნაურად ელერს ავ. წერეთლისაგან პოემა „გამზრდელის“ მიზნობრივი დამისამართება: „ეუფლენი ჩვენს პედაგოგებს“, აღმზრდელის პასუხისმგებლობის ასეთნაირი ამოღება მსოფლიო ლიტერატურას ძნელად მოეპოვება და მაინც აღზრდის უნებლიე, ფსიქოლოგიური გადაცდომისათვის პოეტის მიერ გამზრდელისადმი განსაზღვრული სასჯელი საოცრად მკაცრი მეჩვენება, ეს უნდა ითქვას თავშიც და ბოლოშიც, და უნდა ითქვას, არა იმის დეკლარირებისათვის, რომ ავ. წერეთელს რაიმე ეშლებოდა, არამედ იმისათვის, რომ გამოტანილი განაჩენის სიმკაცრე თვით ავტორმა საქამათოდ და სადისკუსიოდ დაგვიტოვა, რამეთუ თავად ამ საქციელისათვის შეფასება არ მიუცია; „სწორად მოქცეა თუ არა გამზრდელი?“—კითხვაზე პასუხი არ გაუცია. პირადად ჩემი პასუხი „კაცად გაზრდის“ პრობლემასთან დაკავშირებით უკვე მოგახსენეთ, თუმცა უმჯობესია უფრო კონკრეტულად და ფაქტების მეშვეობით გავაშუქო საქითხი.

დავიწყოთ იქედან, თუ ვის ოჯახს უნდა მიაღვს შეურაცხყოფა, რათა შეურაცხყოფელისათვის დაკანონებული სასჯელი შედგებოდეს ალარ გეჩვენის. ავტორმა ბათუ აფხაზის უსკეტაქეს ოჯახს განსაკუთრებული ხაზი ტყუილად არ გაუსვა: „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად

მერცხლის ბუდედ რაღაც მოსჩანს“.

ეს რაღაც შეურყენელ, მიუწყდომელ სიწმინდესთან შენივთებული უბრალო ფაცხაა, რომელთანაც „ყველა ტყუის, რაც კი ციხე დარბაზია“. პატრონიც შესაფერისი ჰყავს „ამ შორეულ ფაცხა-მღვიმესა და „საამო კარმიდამოს“. კერძოდ ისეთი, „წვრთნასთან ერთად ბუნებამაც რომ უშველა“ და ყოველგვარი კაცური ქცევა დატოვა მასში:

„ერთი ვინმე ახალგაზრდა აფხაზია, ამ მთის შვილი, რომელ ცხოვრების უარყოფით, მცირედითაც კმაყოფილი“.

აკაკი წერეთელი, ჩემი აზრით, შემთხვევით არც აფხაზის ცოლის მშვენიერებას უსვამს ხაზს, ესაც ჩადენილი ცოდვის ხელის შემწყობი გახლავთ და იმიტომ. „ნაზიბროლა სახელია, სამეგრელოს ასულია, მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი ედგმს ალვად ასულია?“

სილამაზისა და სიყვარულის საქმერად წამოსული საფარ-ბეგი, მანამდე პირიანი, თავმოქონე რაინდი, ნაზიბროლას წინაშე მარცხდება ფსიქოლოგიურად და მორალურად, მარცხდება „სავაჟაკოდ გამოსული, უღრეკი და უშიშარი“ რაინდი. მარცხდება იგი მეორეჯერაც, როცა „გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს არაფერი შეუტყვია, თვარა გულ-მკერდს გამოხერცდა ხანჯლის წვერი და ან ტყვია“.

სამაგიეროდ ძიძიშვილი ამოღდა უფრო მეტად, ოდეს დაიჭერა, რომ „ყოველგვარი მოსაგალი კაცის თავზე უნებური, ღვთის რისხვაა და ტყვილად ბედს რას უჩივი, რადემდური...“ და კიდევ მაშინ, როცა ცხენი შეაჩერა და ხმა აღიმალა: „—არა სთქვა რა... არც მე გკითხავ,

არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელაა, არც შენდობა უხერხდება“.

ამის შემდეგ იწყება გლევიბული სინდისის ქეჩნა საფარ-ბეგის შეგნებაში; ჩადენილის სიმწვავე და სიმწარე იგრძნო

ბოლომდე, თუმცა მაინც არც ერთ ვაჟაკობა თუკადეც გამხელარ განაჩენი სუკონარბისაგან ოცნების თვის და ბათუს სთაჯანობს.

„ჩემს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს.

მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე, მახლევერე, რაც შეგცოდე, სინიღისი გამიმრთელე“.

ბათუ უცნაურად გონიერი კაცია, ისიც რა უფრო დატანჯვის მისი ოჯახის შეურაცხყოფელს, ამიტომაც ტოვებს ცოცხლად, ერთს კი სთხოვს, და არავინ იცის, რა გაიფიქრა ამ თხოვნისას აფხაზმა ბათუმ. (ნუთუ იცოდა, რომ სიკვდილი არ აცდებოდა ან გაზრდილს ან გამხდელს?)

„წადი, ნახე ის მოძღვარი, ვინც შელოებით გამოგზარდა და უამბე შენი პირით, რაც სიტყვილი დაგემართა“.

თხოვნის შესრულებასა და ნაამბობს რაც მოჰყვა, ერთი და იგივე დროს მოსალოდნელიც არის და მოულოდნელიც. კუთხით და გონებით ცნობილი პატიუხსისაგან სისხლი დაიღვარა, ოღონდ საკუთარი სისხლი...

მთლად გარეწარი არ გაუზრდია უსუბს საფარ-ბეგი, ასეთ შემთხვევაში არც გამზრდელს მონახვდა და აღარც გულ-მკერდს მიუშვერდა ტყვიას იგი მორჩილებით, უნდა დავიჭეროთ, რომ იგი მართლა ეშმაკმა შეაქდინა და დარბა ცოდვის ხელი.

კი, ბატონო, არაფერი არ ამართლებს?—მაინც არ უნდა მოეკლა თავი გამზრდელს, მით უფრო, რომ „სადაც კია გვარიშვილი, ყველა მისი გაზრდილია“ და, მით უფრო, რომ არ შეიძლებოდა შეგნებული არ ჰქონებოდა სანაქებო კაცს „მარტო წვრთნა რას უხამს, თუ ბუნებამაც არ უშველა?“

გამზრდელს აღზრდაში არაფერი შეცდომა არ დაუშვია, ბათის წვრთნის თვალსაზრისით არაფერი არ დაუკლია საფარ-ბეგისათვის, მაგრამ მაინც ვერაქცია ნებისყოფიან, ქვეაქმედების გონებისათვის დამმორჩილებელ კაცად, ამიტომ მოექცა წინააღმდეგობაში საფარ-ბეგის შეხედულება და სურვილი, რაც არ აპატიო საკუთარ თავს გამზრდელმა. „ეუფლენი ჩვენს პედაგოგებს“— გვამცნობს აკაკი და ვგრძნობ, ცათამდე აღვლენილ პასუხისმგებლობას აღმზრდელისას, ეგაა, სწორედ, ამ ნაწარმოების იდეაც, თუკც ასეთი მკაცრი სასჯელი, მაინც არ მჯერა, რომ კანონზომიერია...

ლელა ლომთაძე.

გვალყოფნა ბეპრს ნიშნავს

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ადრევე დაიწყო. ჩერ კიდევ მარტის თვეში შევადგინეთ და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დავამტკიცეთ 1990-1991 სასწავლო წლისათვის მზადების გეგმა.

გეგმაში გავითვალისწინეთ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებითად გაუმჯობესება, კაბინეტ-ლაბორატორიების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოწყობა, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინო მასალებით, სასწავლო სახელმძღვანელოებითა და ნივთებით მოსწავლეთა, ხოლო მეთოდური ლიტერატურით, სასწავლო გეგმებით და პროგრამებით მასწავლებელთა მომარაგება, პირველ კლასში ჩასარიცხთა აღწერა, სწავლებაში ჩაბმა და სხვა.

დამტკიცებული გეგმის შესრულებისათვის ზრუნვა ჩერ კიდევ სასწავლო წლის დამთავრებამდე, აპრილის თვეში დაიწყო. უბნების მიხედვით მასწავლებლებმა აღრიცხეს და შეადგინეს საბუთები პირველ კლასში შემსვლელი ბავშვებისა, სექტემბერში სწავლას შეუდგება 15 პირველკლასელი, ხოლო სკოლაში სულ 170 მოსწავლე მიუჭდება მერხს.

სასწავლო წლის დამთავრების თანავე მთელი მუშაობა წარგმართეთ ახალი 1990-1991 სასწავლო წლისათვის კარგად მომზადებისა და მისი ორგანიზებულად დაწყება-წარმართვისათვის, სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნისათვის.

სკოლის ძალებით მიმდინარე რემონტი გავუყვითეთ სახკოლო ინვენტარს, შევდებთ ზეთოვანი საღებავით დაწყებითი კლასების და ზოგიერთი კაბინეტის იატაკი. წესრიგში მოვიყვანეთ

„ლემშეკანიერა, სასწავლო - საწარმოო გაერთიანება...“

ამ მისამართში გარდაბნის რაიონში „ჩაეწერება“ ახალი ტიპის დაწესებულება, აქ ისწავებიან და აღზრდებიან სტიქიით დაზარალებული მთიანი რაიონებიდან ჩამოსახლებული ახალგაზრდები, შეიძენენ მტკიცე შრომითს ჩვევებს.

მის ძირითად დებულებებს განმარტავს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე

ნ. ვ. გურგენიძე: —პირველ რიგში დავასახელებ ამ სასწავლო დაწესებულების სპონსორებს. მის საბაზო ორგანიზაციებად დამტკიცებულა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისის სამხატვრო აკადემია, კავკასიონის კომბინატი „საქართველო“, საწარმოო გაერთიანება „საქსამთო-ქიმიკური“ და ჩანდარის მეც-

ოველობის კომპლექსი. რესპუბლიკის საგემო კომიტეტის, სახალხო განათლების სამინისტროს, გარდაბნის რაიონმასკომის, უწყებებისა და ორგანიზაციების მხრივ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, საჭირო რესურსებით, ავტორთანპორტიო უზრუნველყოფის მიზნით, გაერთიანების შემადგენლობაში სკოლაიმედლ ბავშვთა დაწესებულებ-

ებისა და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის შექმნისათვის გათვალისწინებულია კონკრეტული ღონისძიებები.

დამსულია საკითხი მისთვის 250 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს დაევა სასწავლო დაწესებულებას აუშენის საძროხე, სალორე,

მეფრინველეობის ფერმა, რომელიც საიჯარო პრინციპით იმუშავებს და დაუმონტაჟოს ინკუბატორი. პროგრამა ისეა დაგეგმილი, რომ 1992 წლის 1 ივლისს სასწავლო-საწარმოო გაერთიანება სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადავიდეს.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

305 კვებასს ამერიკას?

ეროვნული გიგლიოთეკა



(შემოსავალს მინუს ყველა სახის დანახარჯი, გადასახადი კი) ოჯახის წევრებს შეუძლიათ ეს თანხა თავიანთი შეხედულებისამებრ გამოიყენონ. (სიტყვამ მოიტანა და, ამერიკული კანონები ხელსაყრელს ხდიან სოფლის მეურნეობაში მუშაობას. სხვანაირად, ვინ გამოკვებავს ქვეყანას, ნახევარი მსოფლიოც რომ მისცე. მაგალითად, ფერმის შესანახი ყველა ხარჯი როდი იბეგრება). რაც შეეხება კვებას, პრაქტიკულად არავითარი ხარჯი არა აქვთ. ედის სახლი სავსე ბედელია. მის მისახვედელთან სხვა სახლია, ისიც ორსართულიანი, დაქირავებული მუშებისათვის. ისინი სეზონზე ოთხნი არიან, ძირითადად სტუდენტები. ედის და ფერმაში მომუშავე ყველა ადამიანის სამუშაო დღე 14 საათიანია. შრომა



მთლიანად მექანიზებულია. ალბათ, ამიტომ ედის აზრადაც არ მოსვლია გაეყიდა თავისი მეურნეობა. თუმცა ეს რომ გაეკეთებინა, მილიონერი გახდებოდა: მარტო მიწა შეიძლება 2,5 მილიონ დოლარად გაიყიდოს. ამას ემატება საუკეთესო გიზის ძროხები, შენობები, ტექნიკა.

კიდევ ერთი მიზეზის გამო არ სურს ედის ფერმის დატოვება „ალბათ ეს სისხლში მაქვს“, — ამბობს იგი. **წელა სურათები:** ედი პატისუფროსი მუშაობისას. მას ესმარება ძროხების მომვლელი დაქირავებული მუშა; ფერმერ პატისის ოჯახი; მშვიდი ედი-უმცროსი განმარტავს, როგორ აკვირდება ამ ციფერბლატით ექიმ-ვეტერინართან ერთად თითოეული ძროხის მდგომარეობას. 3. პოლიაკოვსკის ფოტო. (საკდესი).

ეს კითხვა უკვე დიდი ხანია რიტორიკული გახდა, ყოველ შემთხვევაში, იმ დღიდან მაინც, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. დასტურად შეიძლება გამოგვადგეს პრაქტიკულად ნებისმიერი ფერმერის ოჯახური გადმოცემები. ედი პატის ჩვეულებრივი საშუალოსტატისტიკური ფერმერული ოჯახის მერვე თაობის წარმომადგენელია. მილიონერთა რიცხვს არ ეკუთვნის მისი 260 აკრი (104 ჰექტარი) მიწა სამოვრებს და ქალებს უკავია, სადაც საკვები ბალახი იზრდება. ოდესღაც პატისების სამფლობელო ვირჯინიის შტატში გაცილებით დიდი იყო. ისინი ამ ადგილებში პირველად ჩამოსულთა შორის იყვნენ, 1746 წელს შეიძინეს მიწები და გამართეს მეურნეობა. „ყოველ თაობაში ფერმა ნაწილდებოდა. შემკვიდრეთა უმრავლესობამ საბოლოოდ მიწები გაყიდა“ — ყველა ედი. ახლა მთელ ამ მხარეში მის ოჯახთან (მამა, დედა, ცოლი და

მ შვილი) ერთად პატისების მხოლოდ ერთი ოჯახი დარჩენილი. რას არ აკეთებდნენ პატისების არაერთი თაობის წარმომადგენლები: ხნავდნენ და თესავდნენ, რგავდნენ ხეებს, იღებდნენ მოსავალს, ცხვარსაც ამრავლებდნენ, სახორცე პირუტყვსაც და ცხენებსაც. სარძეო მეცხოველეობა განავითარა ედის ბაბუამ 1940-იანი წლებიდან, როცა ვაშლის ბაღებს უკვე აღარ მოჰქონდათ მოგება. პატისების ფერმაში დღეს 130 ძროხაა, რომელთაგან 66 იწველება, ხბოები ორშაბათობით იყიდება აუქციონზე, რძის გაყიდვისაგან შემოსავალი წელიწადში 200 ათასი დოლარია, მაგრამ წმინდა მოგება, როგორც ედი ამბობს, საშუალოდ მხოლოდ 10 ათასია. ერთი შეხედვით, ამერიკული მასშტაბით ციფრი თითქმის მცირეა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. პატისების ფერმის მოგების 10 ათასი — ეს სუფთა 10 ათასია.



ესენი გვარსხვენი

ამას წინათ რაიონულ გაზეთში გაკრიტიკებული იყვნენ ქალაქის ის მცხოვრებნი, რომელთა პირუტყვი აბინძურებს ქალაქის ქუჩებს; ბაღსა და სკვერებს. ცაგერის მრავალდარგობრივი საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანების ღირებულება დაპირდა მკითხველს, რომ ყოველ ორშაბათს მიაწვდის გაზეთს იმ მოქალაქეთა სიას, რომელთა პირუტყვი ქალაქში გაშვებული იქნება უპატრონოდ. ესარულებთ დანაპირებს და გავაცნობთ იმ მოქალაქეებს, რომელთა ღორები წინა კვირაში დაჭრილ იქნა ან ეს მოქალაქეები. ქალაქში მცხოვრებთ სარემონტო სამშენებლო უბნის მუშის პლატონ გალაქტიონის ძე ირემადის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხე-

ლოსნის ბიკიკო ალექსანდრეს ძე კვირკაშვილის, რაისაავადმყოფოს ექთნის შუშანა ლავრენტის ასული ყურაშვილის, პენსიონერ სერგო სანდროს ძე სილაგაძის, რაიკოაპერატივის ცენტრალური საწყობის გამგის რომან მექის ძე მანდარიას ღორები ქალაქის ბაღში, სკვერებსა და გაზონებში ძოვდნენ, თხრიდნენ და აბინძურებდნენ ქუჩებს. **ქპირფასო მკითხველი!** მომავალ კვირაში გაცნობებთ უპატრონოდ გაშვებული პირუტყვის დამამზადებელ ორგანიზაციებზე ჩაბარების შესახებ. ეს იძულებითი ღონისძიებაა. მაგრამ რა ვქნათ. სხვა გამოსავალი არა გვაქვს. **ცაგერის მრავალდარგობრივი საბინაო-კომუნალური მეურნეობის გაერთიანების ღირებულება დაპირდა მკითხველს, რომ ყოველ ორშაბათს მიაწვდის გაზეთს იმ მოქალაქეთა სიას, რომელთა პირუტყვი ქალაქში გაშვებული იქნება უპატრონოდ.**

„ღემშვანიერა, სასწავლო-საწარმოო გაერთიანება ...“

(დასასრული). და, რასაკვირველია, ჩვენი სამინისტრო, საგეგმო კომიტეტი, სხვა დაინტერესებული უწყებები პირველ რიგში იზრუნებენ გაერთიანების მოსამზარებელად თვალსაჩინო ხელსაწყობით; მოწყობილობით, სასწავლო დაზღვებით, სასკოლო ინვენტარით. ფაქტობრივად ღემშვანიერა სოლიდურ სასწავლო-აღმზრდელი ბით საწარმოო კომპლექსად გადაიქცევა. გაერთიანების მუშაობას კოორდინაციას გაუწევს მისი გენერალური დირექტორი და არჩეული საბჭო. ხოლო მათი ყურადღების სფერო, მომავალი საქმიანობის დიაპაზონი, როგორც გვპირდებიან, საკმარისად ფართო იქნება — გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ იქნება, მაგალითად, საქსოვი და მანქანაზე ბეჭდვის სახელოსნოები, ავტომანქანის ტრაქტორის, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვის სასწავლო პოლიგონი. აგრეთვე კულტურის სახლი, სპორტული კომპლექსი.

შპს ვალიკო რომანოვის ქე მურცხვალაქეს

ბაბუ, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმწვევს, დიდხანს სიცოცხლეს.

შვილიშვილები ნინიკო, გიორგი, ვალერი.

რჩევები დიასახლისებს

დამკნარი, მოღვენილი მწვანელი რომ გამოვაცოცხლოთ, 1 საათის განმავლობაში მოათავსეთ ძმრიან ცივ წყალში (1 ლიტრ წყალზე 1 სუფრის კოვჩი ძმარი). * * *

ხორცი ან თევზი კარგად რომ შეიწვას და არ გაშვდეს გამონაჟონი წვენიდან, ტაფაზე მოათავსების წინ შეამშრალეთ ტილოთი.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

შვილი ციციხო, დისშვილი მედიკო ლიპარტელიანი, მახლი მიხელი, მულისშვილი გუბული, მახლისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ვერა რომანოვის ასული მამარდაშვილი-გორდ ელიძე.** დაკრძალვა 28 აგვისტოს, სამშაბათს, სოფ. ოყურეშში.

ცაგერის რაიბრეშუმის თანამშრომლები თანაუგრძობენ ზაურ თავგაქვს სიძის **კაკო გრიგოლის ძე ქვაჩაიძის** გარდაცვალების გამო.

ჩვენ მიხსამართი: 884100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის — 22-81, რედაქტორის მოადგილის — 22-85, პასუხისმგებელი მდივნის — 22-84, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის — 22-86, მშრომელთა წერილების — 22-41, საკორექტორის — 22-42, სტამბის დირექტორის — 22-17, სამწყობრო სამსახროს — 22-28, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, **იწყობის 6666, შეკვეთა 07 ტიპი 4000**

საქართველოს სსრ ზეცდებით სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.